ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარის აკაკი გიორგაძის

საქმიანობის ანგარიში №1

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია (2025 წლის ოქტომბრიდან 2026 წლის ოქტომბრამდე) ჩემი, როგორც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისა და ფრაქცია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარის, საქმიანობის ანგარიში.მე, როგორც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს და, ამავდროულად, ფრაქცია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარეს, ამომრჩევლების წინაშე ანგარიშვალდებულება და საჯაროობის პრინციპის დაცვა მავალდებულებს, წარმოვადგინო ანგარიში საანგარიშო პერიოდში (2025 წლის ოქტომბრიდან 2026 წლის ოქტომბრამდე) გაწეული საქმიანობის შესახებ. კანონით ნაკისრი ეს ვალდებულება ის ერთ-ერთი დამატებითი ინსტრუმენტია, რომელიც საშუალებას გვძლევს, ამომრჩევლებს მივაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია საკრებულოსა და ჩემი საქმიანობის თაობაზე.

ნდობის მაღალი მანდატი, რომელიც განპირობებულია საზოგადოებისა და საკრებულოს წევრების მხრიდან, ზრდის ჩემს პასუხისმგებლობას საქმისა და თითოეული ამომრჩევლის წინაშე. ჩემი საქმიანობის მთავარი მიმართულებაც გამოცხადებული ნდობის გამართლებაა. პოლიტიკური პროცესების მართვისას, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, საკრებულოს თითოეულ წევრთან გუნდური მუშაობითა და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან კოორდინირებული ურთიერთობით, ჩემთვის მნიშვნელოვანია ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც მაქსიმალურად მიახლოებული იქნება ადგილობრივ საჭიროებებთან და ხელს შეუწყობს ქალაქის კეთილდღეობასა და წინსვლას.

წარმოდგენილი ანგარიშით მინდა საზოგადოებას ინფორმაცია მივაწოდო საანგარიშო პერიოდში ჩემს მიერ გაწეული საქმიანობის, განხორციელებული ინიციატივებისა და მიღწეული შედეგების შესახებ, აგრეთვე საქმიანობის პრიორიტეტებისა და სამომავლო ხედვის გაცნობა. საანგარიშო პერიოდში სისტემატურად ვიღებდი მონაწილეობას საკრებულოს სხდომებსა და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დავესწარი საკრებულოს 13 რიგით და 2 რიგგარეშე და ასევე საკრებულოს ბიუროს 24 სხდომას.

როგორც უკვე აღვნიშნე, ვარ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე. ჩვენი ფრაქცია წარმოადგენს საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომელიც შეიქმნა და საქმიანობს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საკრებულოს რეგლამენტისა და ფრაქციის წესდების შესაბამისად. ფრაქცია

ოფიციალურად დაფუძნდა და საკრებულოში რეგისტრირებულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 ნოემბრის №35 განკარგულების საფუძველზე. ფრაქცია შედგება საკრებულოს 3 წევრისაგან: აკაკი გიორგაძე (თავმჯდომარე), მამუკა სინაურიძე (თავმჯდომარის მოადგილე) და მიხეილ გიორგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ხალხის ძალის“ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საკრებულოში ქვეყნის საგარეო და საშინაო საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი პოლიტიკური კურსის გამოხატვა და გატარება. საქმიანობის ძირითადი ამოცანებია საკრებულოს საქმიანობის სრულყოფაში მონაწილეობა, წევრთა შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა და საკანონმდებლო საქმიანობაში შეჯერებული აზრის გამოხატვა.

წესდების შესაბამისად, ფრაქციის უმაღლესი ორგანოა ფრაქციის სხდომა, რომელიც იმართება თვეში ერთხელ მაინც. ფრაქციის სხდომებს ვამართავდი რეგულარულად, სადაც კოლეგიალური პრინციპით ვზრუნავდი საზოგადოების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღებაზე. საანგარიშო პერიოდში ფრაქცია აქტიურად ახორციელებდა დაქვემდებარებული სამსახურების საზედამხედველო ფუნქციას. ჩემი ხელმძღვანელობითა და ფრაქციის წევრების (მამუკა სინაურიძე, მიხეილ გიორგაძე) მონაწილეობით, ფრაქციის სხდომებზე განვიხილეთ და შევაფასეთ მუნიციპალიტეტის წამყვანი სამსახურების საქმიანობა.

ჩემთვის და ჩვენი ფრაქციისთვის უმთავრეს პრიორიტეტს საზოგადოების უსაფრთხოება, მოქალაქეთა ინტერესების დაცვა და მათ კეთილდღეობაზე უწყვეტი ზრუნვა წარმოადგენს. სწორედ ამ ღირებულებითი მიდგომიდან გამომდინარე, ფრაქციის სხდომაზე ხშირად განიხილებოდა ისეთი საკითხები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებას, როგორიცაა: ქალაქის გარე განათებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ქალაქის ენერგოეფექტური განათების მოდერნიზაციის პროცესი, საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები და საგზაო ნიშნების აღდგენის დინამიკა, საგზაო მოძრაობის მოწესრიგება და ქვეითთა ინტერესების პირნათლად დაცვა, ქალაქში მიუსაფარ ცხოველთა პოპულაციის მართვა და არსებული გამოწვევების მოგვარება. ამ საკითხებთან დაკავშირებით სიღრმისეული განხილვისა და ანალიზის შედეგად, ფრაქციის მხრიდან გაიცა კონკრეტული, პრაქტიკაზე ორიენტირებული რეკომენდაციები.

საკრებულოს ეფექტური ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი კომისიების აქტიურობა და გამართული მუშაობაა. საკრებულო კოლეგიური ორგანოა — აქ გადაწყვეტილებები მიიღება საკრებულოს წევრთათვის საკითხების დროულად გაცნობის, საჭირო ინფორმაციისა და კონსულტაციების

მიღების, საკუთარი აზრის თავისუფალი გამოხატვის შესაძლებლობის უზრუნველყოფითა და კენჭისყრის გზით. თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოდ საკრებულოს სხდომაზე სამართლებრივი აქტის სახეს იღებს, მუშავდება სწორედ კომისიების მიერ, თავიანთი დარგების შესაბამისად.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიები სამუშაო გეგმის შესაბამისად შეიმუშავებენ, განიხილავენ და სხდომისთვის ამზადებენ საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს, წარუდგენენ საკრებულოს ბიუროს, აკონტროლებენ საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებას, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი მიმართულებების სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობას, ისმენენ მათ ანგარიშებს და საკრებულოს წარუდგენენ შესაბამის დასკვნასა და შეფასებას.

როგორც ორი კომისიის — საფინანსო-საბიუჯეტო და იურიდიულ საკითხთა კომისიების წევრი, აქტიურად ვარ ჩართული მათ ფუნქციონირებაში ყველა ეტაპზე:

როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრმა, საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე კომისიის 11 სხდომასა და ამ სხდომებზე 30 საკითხის განხილვაში. კომისიის მუშაობაში ჩემი ჩართულობის მთავარი მიზანი იყო მუნიციპალიტეტის ფინანსურ და საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების განხილვის პროცესში მონაწილეობა, ქალაქის პრიორიტეტების გათვალისწინება და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის ხელშეწყობა.

აღნიშნულ კომისიაში საქმიანობისას ჩემი განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირებასა და საბიუჯეტო პრიორიტეტების განსაზღვრას. ხაზგასასმელია, რომ საანგარიშო პერიოდში ქალაქის ბიუჯეტი ხასიათდებოდა მკვეთრად მზარდი დინამიკით, რაც უზრუნველყოფდა დამატებითი რესურსების მობილიზებას მუნიციპალიტეტისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან სფეროებში. ჩემი მხარდაჭერითა და აქტიური ჩართულობით, საბიუჯეტო რესურსების ზრდა მიემართა ისეთი პრიორიტეტული მიმართულებების გაძლიერებისაკენ, როგორებიცაა:

- საგზაო, სარეკრეაციო და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მასშტაბური განვითარება;
- ქალაქის დასუფთავება, ნარჩენების მართვა და გარემოსდაცვითი ღონისძიებები;
- სკოლამდელი და სკოლისგარეშე განათლების სისტემების მხარდაჭერა;
- კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსება;

- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამების გაფართოება.

კომისიის საქმიანობის ფარგლებში, ასევე, მონაწილეობას ვიღებდი ანგარიშვალდებული სამსახურებისა და იურიდიული პირების საქმიანობის ანგარიშების მოსმენისა და განხილვის პროცესში, მათ მიერ შესრულებული სამუშაოების შეფასებისა და საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებაში.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრის სტატუსით, აქტიურად ვმონაწილეობდი კომისიის საქმიანობაში, რომლის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა საკრებულოს კომპეტენციას მიკუთვნებული სამართლებრივი საკითხების განხილვა, შესაბამისი გადაწყვეტილებების მომზადება და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფის პროცესში ჩართულობა. საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე კომისიის 19 სხდომაში, რომლის ფარგლებში განხილულ იქნა 63 საკითხი,განხილვაში ვმონაწილეობდი ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში. კომისიის მუშაობაში სისტემატური ჩართულობა მაძლევდა შესაძლებლობას, საფუძვლიანად გავცნობოდი დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს, მონაწილეობა მიმეღო მათ სიღრმისეულ განხილვაში და ხელი შემეწყო კანონიერებისა და სამართლებრივი პრინციპების დაცვაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებისთვის.

იურიდიულ საკითხთა კომისიის საქმიანობის ფარგლებში, განსაკუთრებულ პრიორიტეტს ვანიჭებდი მოქალაქეთა ლეგიტიმური ინტერესების დაცვას და აქტიურად ვიყავი ჩართული საერთო საკუთრების მართვისა და თანამესაკუთრეთა უფლებრივ-სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების პროცესში. მუნიციპალიტეტის მასშტაბით შემოსული მოქალაქეთა განცხადებებისა და მიმართვების საფუძველზე, სიღრმისეულად განვიხილეთ საერთო სარგებლობის ფართების, ინფრასტრუქტურული ობიექტებისა და ამხანაგობების მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამების სამართლებრივი ასპექტები. საკანონმდებლო ბაზისა და რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავებული მიდგომები მიზნად ისახავდა მოქალაქეთა კერძო და საერთო-საკუთრებითი ინტერესების მკაცრ დაცვას, მუნიციპალურ პროგრამებში მათი ჩართულობის სამართლებრივად გამართული მექანიზმების დანერგვასა და პრაქტიკაში გამოვლენილი სამართლებრივი ხარვეზების დროულ აღმოფხვრას. მიმაჩნია, რომ იურიდიულ საკითხთა კომისიის ეფექტიანი საქმიანობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი თვითმმართველობის გამართულ ფუნქციონირებაში, სამართლებრივი საკითხების სათანადოდ შეფასებასა და მუნიციპალიტეტის საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაში.

ჩემი საქმიანობის უმთავრეს პრიორიტეტს მოქალაქეებთან უშუალო, ღია დიალოგი და მათ წინაშე არსებული საჭიროებების სიღრმისეული იდენტიფიცირება წარმოადგენს. მოსახლეობასთან მუდმივი და პირდაპირი კომუნიკაციის საფუძველზე, დეტალურად ვსწავლობთ მიმდინარე გამოწვევებს, ხოლო საკრებულოს წევრების, ფრაქციისა და კომისიების კოორდინირებული საქმიანობით, აგრეთვე აღმასრულებელი სამსახურების ხელმძღვანელთა აქტიური ჩართულობით, ვუზრუნველყოფთ წამოჭრილი საკითხების ოპერატიულ, ეფექტიან და შედეგზე ორიენტირებულ გადაჭრას.

მომდევნო საანგარიშო პერიოდში ჩემი საქმიანობის მთავარ ღერძად კვლავაც დარჩება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ქმედითი მონაწილეობა, საკრებულოს წევრისა და ფრაქციის თავმჯდომარის უფლებამოსილებათა ღირსეული და ეფექტიანი რეალიზება, აგრეთვე ჩვენი ქალაქის მოსახლეობის ინტერესებსა და კეთილდღეობაზე მორგებული გადაწყვეტილებების თანმიმდევრული მხარდაჭერა. ჩემთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ თითოეული საკანონმდებლო თუ პრაქტიკული ინიციატივა უპირობოდ ემსახურებოდეს ქუთაისელების ინტერესებს, ქალაქის მდგრად და დინამიკურ განვითარებასა და ჩვენი თანამოქალაქეებისთვის კიდევ უფრო ღირსეული, კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნას.

ჩემი, როგორც საკრებულოს წევრისა და ფრაქციის თავმჯდომარის, უზენაესი მიზანია — მომავალშიც განვახორციელო მაღალი პასუხისმგებლობითა და საზოგადოებრივი სოლიდარობით გამსჭვალული საქმიანობა; ვიყო მოქალაქეებზე ორიენტირებული წარმომადგენელი, რომლის თითოეული ნაბიჯი ეფუძნება მოსახლეობასთან უწყვეტ კომუნიკაციას, კანონის უზენაესობის განუხრელ დაცვასა და ქუთაისის პროგრესსა და მომავალზე უანგარო ზრუნვას.

აკაკი გიორგაძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,

ფრაქცია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე

